



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის პნალიზი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში



Research

დეფნის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ“

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ფიფლ ინ ნიდ“ და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

კვლევის კოორდინატორი: ნინო ხატისაშვილი
უფროსი მკვლევარი: ია კაცია

მკვლევრები:
ნინო ხატისაშვილი
მარიამ სალარეიშვილი
სოფო ბასილიძე

კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:
სათემო ორგანიზაცია „თორსა“
ხობი-ნიუსი
ხამისკურის განახლებადი ენერგიის ცენტრი
ათინათი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა	8
1. შესავალი	10
1.1 კვლევის მიზანი	10
1.2 პროდუქტის წარმოების მნიშვნელობა	10
1.3 ევროკავშირთან ვაჭრობის (DCFTA) უპირატესობები	11
2. კვლევის მეთოდოლოგია	12
2.1 მეთოდოლოგია	12
2.1.1 საოფისე სამუშაოები	12
2.1.2 საველე სამუშაოები	13
2.2 კვლევის შეზღუდვები	13
3. პროდუქტის სექტორის აღწერა საქართველოში	14
3.1 საქართველოში დაფინის წარმოების მიმოხილვა	14
3.1.1 პროდუქტის ჯიშები	16
3.2 სამეგრელოში დაფინის წარმოების მიმოხილვა	17
4. Grid Map – ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები	19
4.1 თესლის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქებისა და ტექნიკის მომწოდებლები	19
4.2 ფერმერები	20
4.3 შენახვა და გადამამუშავება	21
4.4 შუამავლები	21
4.5 ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებელი	22
4.6 დაფინის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები	22
4.6.1 ექსტენცია და ფერმერთა მომსახურების ცენტრები და სახელმწიფო პროგრამები	22
4.6.2 სექტორული ასოციაცია	23
4.6.3 კვლევითი ორგანიზაციები	23
4.6.4 დონორები და არასამთავრობო ორგანიზაციები	23
5. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინისების ანალიზი	24
5.1 დაფინისების საშუალებების მიმოხილვა	24
5.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები	29
6. Global Value Chain-ში მონაწილეობის პოტენციალი	31
6.1 წარმოების დონე მსოფლიოში	31
6.1.1 უმსხვილესი მწარმოებლები	32
6.1.2 ყველაზე მაღალი მოსავლიანობის მქონე ქვეყნები	33
6.1.3 ფასები	34
6.1.4 უმსხვილესი იმპორტიორები და ექსპორტიორები	34
6.2 საქართველოს დაფინის ვაჭრობის სტატისტიკა	36
6.2.1 პოტენციალის შეფასება	37
6.3 დაფინის ევროკავშირში ექსპორტის პოტენციალი	39
6.3.1 საჭირო სერტიფიკატები და მათთან ასოცირებული ხარჯები	42
6.3.2 ტრანსპორტირების ხარჯები	43
7. SWOT ანალიზი და დისკუსია	44
7.1 ძლიერი მხარეები და განვითარების პოტენციალი	44
7.2 ძირითადი გამოწვევები	45

8. დაფნის განვითარების პოტენციური ეროვნულ ბაზარზე	46
8.1 დასაქმების შესაძლებლობები	46
8.2 შემოსავლების გენერირება	46
8.3 გარემოზე გავლენა	46
9. რეკომენდაციები	47
9.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს	47
9.2 რეკომენდაციები შუალედური რგოლის წარმომადგენლებს	47
9.3 რეკომენდაციები სახელმწიფოს	47
10. ბიბლიოგრაფია	49

სხრილები

ცხრილი 3.1: დაფნის გაყიდვები და ფართობები 1882-1980 წლები	14
ცხრილი 3.2 : საქართველოში დაფნის მთელი ფართობის გადანაწილება რეგიონების მიხედვით	15
ცხრილი 3.3: მეურნეობები, სარგებლობაში არსებული დაფნის მიწის ფართობით	15
ცხრილი 3.4: მეურნეობები, გადანაწილება დაფნის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობის მიხედვით	16
ცხრილი 3.5: სუბტროპიკული კულტურების სავარაუდო ფართობები 2017 წელს	16
ცხრილი 3.6: დაფნის ფართობი, მოსავალი და საშუალო მოსავლიანობა 2017 წელს	17
ცხრილი 3.7: დაფნის წარმოება სამეგრელოს რეგიონში	18
ცხრილი 5.1: პროგრამა „დანერგე მომავალის“ შედეგები 2015-2017	25
ცხრილი 5.2: პროგრამა „შელავათიანი აგროკრედიტის“ შედეგები 2013-2017	27
ცხრილი 5.3: პროგრამა „აგროდაზღვევის“ შედეგები 2014-2017	28
ცხრილი 6.1: დაფნის წარმოება მსოფლიოში (2016 წელი)	32
ცხრილი 6.2: დაფნის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნები მსოფლიოში (2016 წელი)	32
ცხრილი 6.3: დაფნის პლანტაციის გაშენების ხარჯები	38
ცხრილი 6.4: ეკონომიკური ინდიკატორები დაფნის სრულად მსხმოიარობის შემთხვევაში 1 წელიწადში	38
ცხრილი 6.5: დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლში	39
ცხრილი 6.6: სავაჭრო პარტნიორები ევროკავშირში	41
ცხრილი 6.7: დანახარჯები ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში	43

დიაგრამები

დიაგრამა 4.1: დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა	19
დიაგრამა 6.1: დაფნის წარმოება მსოფლიოში (2008-2016 წლები)	31
დიაგრამა 5.2: მსოფლიოში დაფნის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე (2000-2016 წელი)	33
დიაგრამა 6.3: საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰა), 2016 წელი	33
დიაგრამა 6.4: დაფნის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები	35
დიაგრამა 6.5: დაფნის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები	35
დიაგრამა 6.6: საქართველოდან დაფნის ექსპორტის რაოდენობა და ღირებულება	36
დიაგრამა 6.7: საქართველოდან დაფნის საექსპორტო ქვეყნები (2017 წელი)	37
დიაგრამა 6.8: დაფნის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში	40
დიაგრამა 6.9: დაფნის უმსხვილესი იმპორტიორები ევროკავშირში, 2017 წელი	40
დიაგრამა 6.10: 1 კილოგრამი დაფნის საექსპორტო ღირებულება ევროკავშირში	41

შემაჯავებელი მიმოხილვა

დაფნის კულტურა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. დაფნის ძირითად სასაქონლო პროდუქციას წარმოადგენს მშრალი ფოთოლი, რომელსაც, ძირითადად, კვების მრეწველობაში, მედიცინასა და კოსმეტიკის წარმოებაში იყენებენ.

დაფნა ვრცელდება მშრალი, ტენიანი, სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, დასავლეთ საქართველოს და მათ შორის სამეგრელოს რეგიონის კლიმატური პირობები იდეალურია დაფნის საწარმოებლად. ცნობილია, რომ სამეგრელოს რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს თხილის მოყვანა წარმოადგენს. თხილი არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურაა საქართველოს ექსპორტის ჭრილში, არამედ დასაქმების კუთხითაც. თხილის წარმოებაში ჩართულია დაახლოებით 107,000 საოჯახო მეურნეობა.¹ თუმცა ბოლო წლების განმავლობაში, გავრცელებულმა მავნებლებმა (აზიური ფაროსანა) მნიშვნელოვნად დააზიანა თხილის სექტორი. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა როგორც თხილის ექსპორტის მთლიანი ღირებულება, ასევე რაოდენობაც. 2017 წელს თხილის ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა 83.1 მილიონი დოლარი, რაც 53.7%-ით ნაკლებია წინა წლის (2016 წლის) შესაბამის მაჩვენებელზე. შესაბამისად, სხვა კულტურებისადმი დაინტერესება სამეგრელოში გაიზარდა. მათ შორის არის დაფნაც, რადგან იგი შედის იმ მცირე გამოჩვენების კულტურებს შორის, რომელსაც ფაროსანა ნაკლებად აზიანებს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას დაფნა, ძირითადად, გაშენებული აქვს საკარმიდამო ადგილებში, ტრადიციულად და არ არსებობს დაფნის კულტურის თანამედროვე წესებით მოვლის ცოდნა და გამოცდილება.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში წარმოებული დაფნის თითქმის 99%-ის ექსპორტი ხორციელდება. საქართველოს მოსახლეობა მცირე რაოდენობით დაფნას მოიხმარს. დაფნის წარმოების შეხახებ საქართველოში ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. თუმცა, 2017 წელს განხორციელებული მთლიანი ექსპორტის მონაცემზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში სულ წარმოებული იყო დაახლოებით 4600 ტონა დაფნა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემების მიხედვით, 2017 წელს საქართველოში იწარმოვა 4,381 ტონა დაფნა. ორივე მონაცემი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან.

2017 წლის მონაცემების მიხედვით, ქართული დაფნის ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია რუსეთი (40%), თურქეთი (24%) და უკრაინა (17%). იმავე წლის მონაცემებით, ექსპორტი ასევე განხორციელდა ევროკავშირის წევრ ხუთ ქვეყანასთან – ესპანეთი, გერმანია, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი. ექსპორტის მოცულობამ ევროკავშირში სულ 82.6 ტონა შეადგინა.²

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა საქართველოდან დაფნის ექსპორტის როგორც ღირებულება, ასევე რაოდენობაც. 2017 წელს ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 7 მილიონი დოლარი, მაშინ, როდესაც დაფნის ფოთლის ექსპორტის ჯამური ღირებულება 2010 წელს 3.7 მილიონი დოლარი იყო. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ექსპორტის ღირებულების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 16%-ს. გაზრდილი საექსპორტო მოთხოვნიდან გამომდინარე, დაფნას აქვს პოტენციალი, გახდეს ერთ-ერთი

¹ Census 2014

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018

მთავარი საექსპორტო კულტურა სამეგრელოს რეგიონისათვის და მოსახლეობის შემოსავლების დიდი წილი დაიკავოს.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაფნის წარმოება საკმაოდ მოგებიანია. ხარჯებისა და ნამატების თვალსაზრისით, მოგების მარჯა, დაფნის წარმოების შემთხვევაში, დაახლოებით შეადგენს 76%-ს. წელიწადში საშუალო დანახარჯი 1 ჰექტარზე არის 1,860 ლარი, ხოლო შემოსავალი 7,500 ლარი.

დაფნის სექტორისა და მისი საექსპორტო პოტენციალის განვითარებისთვის აუცილებელია ფერმერის, გადამამუშავებლების და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ფერმერების ცნობიერების ამაღლება და დაფნის მოვლის თანამედროვე მეთოდების დანერგვა, რაც გაზრდის დაფნის მოსავლიანობას. მნიშვნელოვანია დაფნის კულტურის გათვალისწინება სახელმწიფო პროგრამებში (დანერგე მომავალი). გადამამუშავებლები უნდა იყვნენ ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების და სურსათის წარმოების სანიმუშო პრაქტიკის დანერგვაზე, რათა ვაჭრობა გაიზარდოს ევროკავშირის ბაზარზე.

1. შესავალი

1.1 კვლევის მიზანი

პროექტის მიზნიდან გამომდინარე, კვლევა ითვალისწინებდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ჩართულობას დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზში და მათთვის აგროსასურსათო სექტორის შესწავლისათვის თანამედროვე კვლევითი მეთოდების გაცნობას, რათა მომავალში დამოუკიდებლად განახორციელონ მსგავსი კვლევა. ასევე, ამ ორგანიზაციებმა მომავალში კონსულტაციები უნდა გაუწიონ დაინტერესებულ მხარეებს და გაააცნონ DCFTA-ს შესახებ საჭირო ინფორმაცია.

კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეგრელოს რეგიონისთვის ტრადიციულად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის – დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. ეს კვლევა ითვალისწინებს დაფნის წარმოების ამჟამინდელ მდგომარეობას სამეგრელოში და ასევე ანალიზებს მის სამომავლო საექსპორტო პოტენციალს ევროკავშირის ბაზარზე. შესაბამისად, კვლევის მიზანია დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა, დაწყებული დაფნის წარმოებიდან საბოლოო მომხმარებელამდე. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ის უპირატესობები, რაც გააჩნია დაფნის წარმოებას და ის შეზღუდვები, რაც ამჟამად აბრკოლებს ამ სექტორის განვითარებას. კვლევის შედეგად უნდა მოხდეს დაფნის წარმოების პერსპექტივების იდენტიფიცირება, რათა, საბოლოო ჯამში, ჯაჭვში შეიქმნას მაქსიმალური დამატებული ღირებულება და დაფნის წარმოება იყოს უფრო მეტად მოგებიანი რეგიონის ფერმერებისთვის.

1.2 პროდუქტის წარმოების მნიშვნელობა

საქართველოში 1882-1980 წლებში დაფნის პლანტაციები გაშენებული იყო დაახლოებით 6,000 ჰექტარზე. წარმოების დონე მნიშვნელოვნად შემცირდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქსტატის 2014 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში დაფნა გაშენებულია დაახლოებით 3,873 ჰექტარზე.³ გასაღების ბაზრების დაკარგვამ, რაც, თავის მხრივ, მოთხოვნის შემცირებას ნიშნავს, გამოიწვია ამ სექტორის განვითარების შეჩერება 90-იან წლებში, შესაბამისად პლანტაციები თანდათანობით შემცირდა. მოსახლეობა დაფნის წარმოებიდან გადაერთო სხვა კულტურების წარმოებაზე და უმეტესად დაფნის პლანტაციები ჩაანაცვლა თხილის პლანტაციებმა, რადგან თხილზე მოთხოვნაც და ფასიც გაიზარდა. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში დაფნისადმი ინტერესი კვლავ განახლდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გაიზარდა დაფნის ექსპორტის როგორც ღირებულება, ასევე რაოდენობაც. 2017 წელს ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 7 მილიონი დოლარი მაშინ, როდესაც დაფნის ფოთლის ექსპორტის ჯამური ღირებულება 2010 წელს 3.7 მილიონი დოლარი იყო. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ექსპორტის ღირებულების საშუალო წლიური ზრდა 16% იყო. მაგალითისთვის, ქართული დაფნის საექსპორტო ფასი 2012 წელს შეადგენდა 1.3 აშშ დოლარს კილოგრამზე, ხოლო 2017 წელს – 1.7 აშშ დოლარს.

³ დაფნა გაშენებულია უფრო ნაკლებ ფართობზე, რადგან ეს მონაცემი მოიცავს ზეთისხილის, ჯონჯოლის, ბამბუკისა და ა.შ. ფართობებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ოპერატიული მონაცემების თანახმად, დაფნა გაშენებულია 2373 ჰექტარ ფართობზე.

დასავლეთ საქართველოში კლიმატი და ჰავა იდეალურია დაფნის საწარმოებლად. სწორედ ამიტომ დაფნის წარმოება და მისი გადამამუშავებელი ქარხნები კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოში. დაფნის მთლიან წარმოებაში სამრეწველო პლანტაციებზე მხოლოდ 3% მოდის; ხოლო 97% იწარმოება საკარმიდამო ნაკვეთებზე.⁴ დაფნის ძირითადი მწარმოებელი რეგიონი სამეგრელოა. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით სულ საქართველოში აღრიცხულია 4,340 ათასი ძირი დაფნის ხე. აქედან, 88% მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ფაროსანამ ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად შეამცირა თხილის მოსავალი და გააუარესა საექსპორტო მაჩვენებლები. 2017 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა როგორც თხილის ექსპორტის ღირებულება, ასევე რაოდენობაც. 2017 წელს თხილის ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა 83.1 მილიონი დოლარი, რაც 53.7%-ით ნაკლებია 2016 წლის იმავე მონაცემთან (179.5 მილიონი დოლარი) შედარებით. რასაკვირველია ეს ფაქტორი უარყოფითად აისახა მოსახლეობის შემოსავლებზე, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში, სადაც თხილის მთლიანი წარმოების დაახლოებით 52% იწარმოება. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაფნა არის იმ გამონაკლის კულტურებს შორის, რომელსაც ფაროსანასგან ზიანი არ მიაღდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, დაფნა არ შედის იმ რისკის შემცველ კულტურებს შორის, რომლებსაც აზიანებს აზიური ფაროსანა.⁵ შესაბამისად, უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდა დაფნის პლანტაციების გაშენებით სამეგრელოში. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ დაფნის ფოთოლზე მზარდ მოთხოვნას საექსპორტო ბაზრებიდან და ასევე მის მზარდ ფასს, დაფნა შეგვიძლია პერსპექტიულ კულტურად მივიჩნიოთ სამეგრელოს რეგიონში.

1.3 ევროკავშირთან პაჭრობის (DCFTA) უპირატესობები

დღესდღეობით, დაფნის ფოთლის ექსპორტი, ძირითადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხორციელდება. ამ ქვეყნებისთვის ისტორიულად ცნობილია ქართული დაფნის ხარისხი და, პირიქითაც, საქართველოსთვის ისინი ტრადიციულ ბაზრებს წარმოადგენენ. დაფნის მთლიანი ექსპორტის 72% სწორედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებია. საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და წარმოების მოცულობის ზრდისთვის, DCFTA მნიშვნელოვანი უპირატესობაა დაფნის მწარმოებლებისთვის. DCFTA ქართველ ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს, პროდუქცია გაიტანოს ევროკავშირის ბაზარზე და მიიღოს შედარებით მაღალი შემოსავალი. 2017 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული დაფნის საშუალო ფასმა შეადგინა 1.96 აშშ დოლარი, ხოლო უნგრეთში დაფიქსირდა 5.5 აშშ დოლარი.

დაფნის ფასი პირდაპირ კავშირშია დაფნის ფოთლის ხარისხთან. იმის გამო, რომ დაფნის გადამამუშავებელი კომპანიები ნედლეულის დიდ ნაწილს მოსახლეობისგან იბარებენ, დაფნის ფოთლის ხარისხი არ არის ერთგვაროვანი, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტის განხორციელებისთვის. ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტისთვის საჭიროა მაღალი ხარისხი და შესაბამისი სტანდარტებისა და რეგულაციების დაკმაყოფილება,

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების განმავლობაში მცირე რაოდენობით დაფნის გატანა მოხდა სხვადასხვა ევროკავშირის ქვეყანაში, თუმცა ჯერჯერობით ქართული დაფნა ვერ ახერხებს ევროკავშირის ბაზარზე თავის დამკვიდრებას.

⁴ ქართული დაფნა და მისი საექსპორტო პოტენციალი, USAID, 2017

⁵ Asian Invasion: Stink Bug in Georgia

2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1 მეთოდოლოგია

დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის სტანდარტული მეთოდები. ეს მეთოდები გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვის შემდეგ ხარისხობრივ ინსტრუმენტებს:

- ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა სპეციალურ ფორმატში (Grip Map); Grip Map მოიცავს დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მნიშვნელოვან აქტივობასა და მონაწილეს და მათ შორის არსებული პროცესებს; აღნიშნული სქემა ასახავს ჩატარებული ინტერვიუებიდან და სავლელ სამუშაოდან მიღებულ ინფორმაციას;
- დაფნის სექტორთან დაკავშირებული მმართველობის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმების ანალიზი, რაც გულისხმობს დაფნის სექტორში არსებული სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების, მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების ანალიზსა და შეფასებას;

ასევე კვლევაში გამოყენებულია ღირებულებათა ჯაჭვის შემდეგი რაოდენობრივი ინსტრუმენტები: ხარჯებისა და ნამატების ანალიზი, დაფნის წარმოებისას ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლში შექმნილი დამატებითი ღირებულების განსაზღვრა ჯაჭვის თითოეული მონაწილისთვის. ეს გულისხმობს ხარჯების, შემოსავლების და მოგების განსაზღვრას ჯაჭვში მონაწილე ყველა რგოლისთვის; ჯაჭვში შემოსავლების გადანაწილების ანალიზი, რაც გულისხმობს ჯაჭვში მიღებული მთლიანი შემოსავლის ნილობრივ გადანაწილებას მონაწილეებს შორის; ჯაჭვის თითოეულ რგოლში დასაქმების მაჩვენებლების გადანაწილების ანალიზი და, ზოგადად, დასაქმების პოტენციალის განსაზღვრა დაფნის წარმოებაში.

2.1.1 საოფისე სამუშაოები

საოფისე სამუშაოები მოიცავდა დაფნის სექტორთან დაკავშირებულ არსებული ლიტერატურის, კვლევებისა და სტატიების მიმოხილვას. შესწავლილ იქნა ყველა ის სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად შეეხებოდა საკვლევ თემას. ასევე გაანალიზდა არსებული სტატისტიკური მონაცემები, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონულ და მსოფლიო დონეზე. გამოკვლეულ იქნა დაფნის მწარმოებელი მონინავე ქვეყნები, დაფნის ყველაზე დიდი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები. საოფისე სამუშაოების დროს მოხდა შემდეგი სახის ინფორმაციების მოძიება და შემდგომი ანალიზი:

- დაფნის მახასიათებლები და წარმოშობის ისტორია;
- წარმოება საერთაშორისო დონეზე;
- ფასები;
- ვაჭრობის სტატისტიკა (ექსპორტ/იმპორტის მოცულობა, ღირებულება, პარტნიორი ქვეყნები);
- ევროკავშირის ბაზრის მახასიათებლები (ექსპორტ/იმპორტის მოცულობა, პარტნიორი ქვეყნები, ფასი).

2.1.2 სპეკულაციური

კვლევის ფარგლებში ჩატარდა როგორც პირისპირ, ასევე სატელეფონო ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებთან: ფერმერებთან, აგრომაღაზიებთან, ექსპერტებთან, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. ინტერვიუები ჩატარდა 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის აგვისტომდე

შემუშავდა მეთოდოლოგიის შესაბამისი კითხვარები ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის ცალ-ცალკე. კვლევის ფარგლებში გამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) წარმომადგენლებმა ჩაატარეს 20 პირისპირ და 10 სატელეფონო. ინტერვიუ.

სულ კვლევის განმავლობაში ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი. საშუალოდ ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა 5-დან 8-მდე იყო. მონაწილეები, ძირითადად, იყვნენ მცირე ფერმერები, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთებზე აწარმოებენ დაფნას.

2.2 კვლევის შეზღუდვა

კვლევის მთავარ შეზღუდვად შეიძლება დასახელდეს არასაკმარისი რესურსი მასშტაბური კვლევის ჩასატარებლად. თუმცა ჩატარებული სავსე სამუშაოები საკმარისია ზოგიერთი დასკვნისა და ანალიზის გასაკეთებლად, რაც წარმოდგენილია კვლევაში.

კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვაა სტატისტიკური ინფორმაციის სიმწირე. კვლევაში გამოყენებულია როგორც ოფიციალური მონაცემები, ასევე ოპერატიული მონაცემები, რომელიც მოწოდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია კვლევაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური და ოპერატიული მონაცემები, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს არ ემთხვევა და განსხვავება არსებობს მათ შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ოფიციალური მონაცემი, დაფნის წარმოების ჯამური მოცულობის შესახებ. სხვა⁶ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ დაახლოებითი მოცულობა.

დაფნის სექტორში ჩატარებული კვლევების სიმცირე წარმოადგენს კიდევ ერთ შეზღუდვას. როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო პერიოდში გაიზარდა დაფნის კულტურისადმი ინტერესი და სასურველია მასშტაბური კვლევების ჩატარება, სადაც უფრო დეტალურად იქნება შესწავლილი დაფნის წარმოება საქართველოში.

⁶ ექსპორტის სტატისტიკის და ინტერვიუებზე მოწოდებული ინფორმაციებიდან მოხდა წარმოების დაახლოებითი მოცულობის გამოთვლა.

3. პროდუქტის სექტორის ელწერა საქართველოში

3.1 საქართველოში დაფნის წარმოების მიმოხილვა

დაფნა ეკუთვნის დაფნისებრთა – lauraceae-ს ოჯახს, laurus გვარს და მისი ლათინური სახელწოდებაა laurus nobilis. დაფნისებრთა ოჯახი შეიცავს 45 სახეობას და დაახლოებით 1,000 ჯიშს. დაფნა მარადმწვანე მცენარეა, ზრდის პირობების გათვალისწინებით, ჩვეულებრივ იზრდება 2-5 მეტრის სიმაღლის ბუჩქი, ან შეიძლება გაიზარდოს 6-16 მეტრის სიმაღლის ხე. საქართველოში დაფნა ყვავილობს დაახლოებით აპრილის ბოლოდან. დაფნის ხე სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობით გამოირჩევა. დასავლეთ საქართველოში არსებობს 120-150 წლიანი და მეტი ასაკის დაფნის ხეები.

დაფნისგან დამზადებული ეთერზეთი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნი პროდუქტია მსოფლიო ბაზარზე. დაფნის ეთერზეთი მდიდარია ცინეოლით (50%-მდე),⁷ ხასიათდება ბაქტერიოციდური თვისებებით და დეზინფექციის საუკეთესო საშუალებაა. დაფნის ფოთოლში არის სასიამოვნო სურნელოვანი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: ცინეოლი, პინენი, ლიმონენი, კომფენი, ფელანდრენი, საბინენი, მირცენი და სხვა.

დაფნის წარმოება საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი, სუბტროპიკულ კულტურებს შორის, საქართველოში დაფნას უჭირავს. დაფნა განსაკუთრებით ცნობილი იყო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში. იქიდან გამომდინარე, რომ დაფნა მშრალი სუბტროპიკული კლიმატის მოყვარული მცენარეა, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ჰავა ხელსაყრელია დაფნის წარმოებისათვის. დაფნა როგორც ველური, ისე კულტურული სახით სამეგრელოში გვხვდება, კერძოდ ნოქალაქესა და ურთის მთის კალთებზე.

შავი ზღვის სანაპიროზე ჯერ კიდევ შემორჩენილია დაფნის ბუნებრივი ტყეები, რაც იმას მოწმობს, რომ დაფნა აბორიგებული კულტურაა. “სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“- ნაშრომის მიხედვით 1950-1965 წლებში დაფნის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს დიდი წილი ეჭირა დაფნის მწარმოებელი ფერმერების მთლიან შემოსავლებში. დაფნის წარმოება აქტიური იყო გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული წარმოების დაფნა გასაღების ბაზრების გარეშე დარჩა და თანდათან მისი წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა.⁸

იმავე ნაშრომზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაფნის წარმოებისა და გაყიდული ნედლეულის მოცულობამ პიკს 1980 წელს მიაღწია. ამ წელს ფერმერებმა ნედლეულის სახით გაყიდეს 6,000 ტონა დაფნა, რომელიც 6,000 ჰექტარზე იყო გაშენებული.

ცხრილი 3.1: დაფნის გაყიდვები და ფართობები 1882-1980 წლები

წლების მიხედვით	1882	1913	1928	1941	1959	1962	1965	1980
გაყიდული ნედლეული (ტ)	197	705	1,000	1,100	1,251	1,400	4,440	6,000
ფართობი (ჰა)	-	580	1,500	2,000	2017	3,000	5,000	6,000

წყარო: «სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები», ავტორები: ი.ბერაია, ვ.ხაბეიშვილი, კ.თავდუმაძე.

⁷ Agrokavkaz.ge

⁸ «სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები», ავტორები: ი.ბერაია, ვ.ხაბეიშვილი, კ.თავდუმაძე.

ასევე საინტერესოა დაფნის ფართობების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“ – ნაშრომის მიხედვით 1965-1980 წლებში დაფნის ყველაზე დიდი მწარმოებელი რეგიონი ხობი იყო (23.1%) და მას მოჰყვებოდა სენაკი 12.3%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღესაც სამეგრელოს რეგიონი რჩება დაფნის მონინავე მწარმოებლად.

ცხრილი 3.2: საქართველოში დაფნის მთელი ფართობის გადანაწილება რეგიონების მიხედვით

დაფნის მთელი ფართობი %-ში 1965-80 წ.წ-ში	
რეგიონი	%
ხობის	23.1%
სენაკის	12.3%
ზუგდიდის	11.0%
აფხაზეთის	8.5%
ვანის	8.0%
სამტრედიის	6.5%
აჭარის	6.2%

წყარო: «სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები», ავტორები: ი.ბერაია, ვ.ხაბეიშვილი, კ.თავდუმაძე.

საქსტატის მიერ ჩატარებულ 2014 წლის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში დაფნა გაშენებულია დაახლოებით 3,873⁹ ჰექტარ ფართობზე. როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში დაფნის ძირითადი მწარმოებელი რეგიონი სამეგრელოა.

ცხრილი 3.3: მეურნეობები, სარგებლობაში არსებული დაფნის მიწის ფართობით

რეგიონი	ჰექტარი
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1,751
კახეთი	763
გურია	541
იმერეთი	301
აჭარა	185

წყარო: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა, 2014

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მცირე რაოდენობით გვხვდება სამრეწველოდ გაშენებული დაფნის პლანტაციები. სამრეწველო პლანტაციებში დაფნის ფოთლის 3 % იწარმოება, დანარჩენი 97% – კერძო საკარმიდამო ნაკვეთებიდან შეძენილი ნედლეულით (USAID, 2017).

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში აღრიცხულია 4 340 ათასი ძირი დაფნის ხე. აქედან, 88% მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში, ხოლო 8% იმერეთის რეგიონში.

საქართველოში დაფნის მწარმოებელი 25,526 მეურნეა და აქედან 40% მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში. ასევე, მეურნეების უმეტესობას დაფნა დარგული აქვთ 0.1 ჰექტარზე ნაკლებ ფართობზე. 3 ჰექტარზე მეტ ფართობზე დაფნა დარგული აქვს 26 მეურნეს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ, ძირითადად, დაფნა გაშენებულია საკარმიდამო ფართობებზე და დაფნის პლანტაციები რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

⁹ ეს მონაცემი ასევე მოიცავს: ზეთისხილს, ჯონჯოლს, ბამბუკს და ა.შ. თუმცა, მცირე რაოდენობით

ცხრილი 3.4: მეურნეობები, გადანაწილება დაფნის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობის მიხედვით

	მეურნეობები, სულ ¹⁰	<0.1	0.1-0.49	0.5-2.99	3>
საქართველო	25,526	14,965	10,057	478	26

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 2014

საქართველოს სოფლის მეურნეობის ოპერატიული მონაცემების თანახმად, საქართველოში სუბტროპიკული კულტურები გაშენებულია 11,590 ჰექტარ ფართობზე. დაფნის წილი მთლიანი ფართობის 20%-ია. იმავე წყაროზე დაყრდნობით, საქართველოში 2017 წელს 4,381 ტონა დაფნა აწარმოეს. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს დაფნის წარმოების შესახებ ოფიციალური მონაცემები, 2017 წელს განხორციელებული მთლიანი ექსპორტის მონაცემზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ინარმოვა დაახლოებით 4,600 ტონა დაფნა. ეს ორი მონაცემი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან.

ცხრილი 3.5: სუბტროპიკული კულტურების სავარაუდო ფართობები 2017 წელს

კულტურა	ჰექტარი
ხურმა/კარალიოკი	4,494
დაფნა	2,373
კივი	991
ლევდი	903
ფეიხოა	832
ბრონეული	555
ზეთისხილი	344

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემები, 2017

3.1.1 კროლუქტის ჯიშები

საქართველოში, ძირითადად, საბჭოთა პერიოდში შემოტანილი დაფნის ორი ჯიშია გავრცელებული: კეთილშობილი (ჩვეულებრივი) დაფნა (*Laurus nobilis*) და აზორის დაფნა, ანუ ჯანარის (*Laurus azorica*).

კეთილშობილი დაფნა მრავლდება, როგორც თესლით, ისე ვეგეტატიურად. თესლით გამრავლება ნერგების მეტი რაოდენობით მიღების შესაძლებლობას იძლევა, ასევე გარემო პირობებისადმი შეგუების უკეთესი უნარი აქვს, სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობით ხასიათდება და, თესლით გამრავლების შემთხვევაში, ნაკლებია დაავადებათა და მავნებელთა გავრცელების საფრთხე. გვხვდება კოლხეთსა და სამხრეთ ყირიმში, მცირე სიმაღლის (ზღვის დონიდან 100-350 მ) მთის კალთებზე სუბტროპიკული ტენიანი და მშრალი ჰავის პირობებში, ჩვეულებრივ კირქვიან ნიადაგზე.

¹⁰ ასევე შედის ზეთისხილი, ჯონჯოლი, ბამბუკი და ა.შ. მეურნეობები.

აზორის დაფნა, ძირითადად, ხარობს ტენიან ადგილებში, უმთავრესად ტყეებში, აზორის კუნძულებზე, სადაც დაფნისებრთა ოჯახის სხვა სახეობებთან ერთად ქმნის ტენიან სუბტროპიკულ ტყეებს ზღვის დონიდან 700 მეტრამდე სიმაღლეზე. მოშენებულია საქართველოს ზოგიერთ ბაღსა და პარკშიც. კეთილშობილი დაფნის ჯიშთან შედარებით ნაკლებად ყინვაგამძლეა. აღნიშნული სახეობებიდან საწარმოო თვალსაზრისით უმთავრესად აშენებენ კეთილშობილ დაფნას.¹¹

დაფნის დათესვა/დარგვა ხდება სექტემბრის მეორე ნახევრიდან ნოემბრის მეორე ნახევრამდე. ასევე დაფნის დარგვა შესაძლებელია გაზაფხულზეც, თებერვლიდან 15 მარტამდე. დაფნის პლანტაციაში პირველი მოსავლის მიღება იწყება 3 წლის ასაკში. ამ ასაკში ბუჩქი იჭრება ფესვის ყელიდან 10-15სმ-ზე. დაფნის ნარგავების პირველი გადაჭრა ხელს უწყობს გვერდითი ტოტების დაბუჩქებას და განვითარებას. დაფნის მორიგი გადაჭრა ხდება 10სმ ზევით წინა გასხვლაზე, ე.ი 20-25 სმ-ზე ყოველ 2 წელიწადში ერთხელ.

დაფნის პლანტაციაში მოსავლის აღება ხდება ნოემბრიდან მარტამდე. დაფნის მზეზე შრობა დაუშვებელია. დაფნის ფოთოლს გასაშრობად დაახლოებით 10-15 დღე სჭირდება. გამხმარ ფოთოლს უნდა ჰქონდეს ღია მწვანე ფერი და ტენის შემცველობა 14%-ს არ უნდა აღემატებოდეს.¹²

3.2 სამეგრელოში დაფნის წარმოების მიმოხილვა

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, სამეგრელო - ზემო სვანეთი ერთ - ერთი დიდი რეგიონია საქართველოში. სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა 478.2 ათასი ადამიანია. აქედან 37.2% ცხოვრობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

რეგიონის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები მემცენარეობის სხვადასხვა დარგის განვითარების საშუალებას იძლევა.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, დაფნის ფართობით წამყვან რეგიონია სამეგრელო, სადაც დაფნა გაშენებულია 1,751 ჰექტარ ფართობზე, რაც მთლიანი დაფნის ფართობის 45%-ია.

ცხრილი 3.6: დაფნის ფართობი, მოსავალი და საშუალო მოსავლიანობა 2017 წელს

რეგიონი	ფართობი	მოსავალი
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1829.5	3,089
იმერეთი	374.5	652.2
გურია	144	628
აჭარა	24.9	12.2
საქართველო	2,373	4,381

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემები, 2017

¹¹ www.georgianels.ge

¹² www.agronews.ge

სამეგრელოში, დაფნა, ძირითადად, იწარმოება ხობის, სენაკის, ზუგდიდის, მარტვილის მუნიციპალიტეტებში. სწორედ აქ არის კონცენტრირებული დაფნის გადამამუშავებელი პუნქტების დიდი რაოდენობა. საქართველოში დაახლოებით 50 დაფნის გადამამუშავებელი საწარმოა და დიდ ნაწილს თავად გააქვს დაფნა საექსპორტოდ. გადამამუშავებლები დაფნას იბარებენ ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომლებსაც დაფნა გაშენებული აქვთ უმეტესად საკარმიდამო ნაკვეთებზე. დაფნის გადამამუშავებლები საწარმოები ასევე ფუნქციონირებენ გურიაში, იმერეთსა და აჭარის რეგიონში.

ცხრილი 3.7: დაფნის წარმოება სამეგრელოს რეგიონში


მუნიციპალიტეტი	ფართობი
ხობი	1,046
ზუგდიდი	439.9
სენაკი	180.5
მარტვილი	54
აბაშა	23.8
სხვა	88.3

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემები, 2017

4. GRID MAP – ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია დაფნის ღირებულებათა ჯაჭვი, რომელიც შედგება შიდა და გარე ფაქტორებისაგან. სქემაზე დეტალურად ასახულია ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები და ასევე მათზე მოქმედი ფაქტორები.

დიაგრამა 4.1: დაფნის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა



4.1 თესლის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქებისა და ტექნიკის მომწოდებლები

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ფერმერები დაფნისთვის თითქმის არ ყიდულობენ სასუქებს და სხვა საჭირო საშუალებებს აგრომაღაზიებში. თუმცა, გამოკითხულმა მაღაზიების თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში გაჩნდა დაფნისადმი ინტერესი და გაიზარდა საინფორმაციო სახის მომართვიანობა. ისინი დაფნისადმი ინტერესის ზრდას თხილის მოსავლის შემცირებას უკავშირებენ, რომელიც ფაროსანის გავრცელებით არის განპირობებული.

სამეგრელოში ნედლეულის მაღაზიები ხელმისაწვდომია ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც ფერმერებს შეუძლიათ სასურველი საშუალებების შეძენა. თუმცა, ფერმერების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ნედლეულის ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი და ამის გამო, სასურველ შედეგს ვერ აღწევენ.

რაც შეეხება სანერგეებს, სამეგრელოში დაფნის 7-8 სანერგეა, თუმცა მათ შორის არც ერთი არ არის სერტიფიცირებული. აღსანიშნავია, რომ ყველა სანერგე აკრედიტირებულია, რომლებიც ჩართულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) პროექტებში.¹³ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ფერმერებს სურდ APMA-ს პროექტში მონაწილეობა, მათ ნერგი უნდა შეიძინონ მითითებული სანერგეებიდან.¹⁴

იქიდან გამომდინარე, რომ ფერმერები დაფნას არ უვლიან, შესაბამისად არ იყენებენ ტექნიკას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში, ისევე როგორც უმეტესობა რეგიონებში ფუნქციონირებს სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრები „მექანიზატორი“. სერვისცენტრი მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტში. სერვისცენტრი მოშორებულია ბევრი მუნიციპალიტეტიდან, რაც ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას წარმოშობს. დაფნას კულტივირება სჭირდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

4.2 ფერმერები

საქართველოში დაახლოებით 25,000 ფერმერია, რომელიც აწარმოებს დაფნას, თუმცა, როგორც ზემოთ, აღინიშნა ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს მხოლოდ მცირე რაოდენობით სამრეწველო პლანტაციები. რაც შეეხება უდიდეს ნაწილს (97%), მოდის საოჯახო მეურნეობებიდან, მათ დაფნის პლანტაციები, ძირითადად, შემორჩენილი აქვთ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უმეტესობა მეურნეებს დაფნა მოჰყავს მცირე ფართობზე. თუმცა, ბოლო პერიოდში გაიზარდა დაფნისადმი ინტერესი და, შესაბამისად, ფერმერები ფიქრობენ დაფნის პლანტაციების გაშენებაზე. ასევე გამოვლინდა, რომ კომპანიები, რომლებსაც აქვთ საკუთარი სამრეწველო პლანტაციები, აწარმოებენ უკეთესი ხარისხის დაფნას, რადგან შესაბამისად უვლიან დაფნას და შედეგად დაფნის ხარისხის კონტროლი შედარებით უფრო მარტივია.

უმეტეს შემთხვევაში, დაფნის მოსავლის 50% იჭრება ერთ წელს და მეორე ნაწილი შემდგომ წელს, შემოსავლების გადანაწილების მიზნით. დაფნის ფასი მერყეობს ხარისხისა და სეზონის მიხედვით. ფერმერები დაფნას აბარებენ შუამავლებს, რომლებიც მიდიან ფერმერებთან და თავად ჭრიან დაფნას. ამ შემთხვევაში, დაფნის ფასი ძალიან დაბალია, კილოგრამზე 0.15-0.20 თეთრი. ფასი იზრდება 50 თეთრამდე, თუ თვითონ ფერმერი მოჭრის და ნედლ დაფნას ჩააბარებს გადამამუშავებლებს. თუ ფერმერები დაფნას თავად გააშრობენ და ჩააბარებენ გადამამუშავებელს, დაფნის ფასი იზრდება და მერყეობს 2.5-3 ლარამდე. დაფნის გაშრობას სჭირდება 10-15 დღე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დაფნის გაშრობა ხდება სტანდარტების დაცვის გარეშე, რაც დაფნის ფოთლის ხარისხზე ცუდად აისახება.

¹³ სერტიფიცირებულ სანერგეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო პროგრამებში.

¹⁴ www.apma.ge

4.3 შენახვა და გადამამუშავება

საქართველოში დაახლოებით 50 დაფნის ფოთლის ექსპორტიორია და მხოლოდ ერთი ქარხანაა, რომელიც აწარმოებს დაფნის ეთერზეთებს და თავადვე ახორციელებს ექსპორტს. საქართველოში დაფნის ეთერზეთზე მუშაობს ზუგდიდში მდებარე საწარმო „შპს ჯეოდაფნა“, რომელიც 1988 წელს ამუშავდა. საწარმო დაფინანსებული იყო USAID-ის მიერ 2007 წელს. საწარმოს მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქცია ორიენტირებულია ექსპორტზე. 1 კგ ეთერზეთის მისაღებად საჭიროა მინიმუმ 50 კგ ნედლეული. დაფნის მცენარის თითქმის ყველა ნაწილი და მათ შორის მერქანიც შეიცავს ეთეროვან ზეთს.

რაც შეეხება დაფნის გადამამუშავებლებს, როგორც წესი, ქარხნები იბარებენ ნედლ დაფნას, შემდეგ თავად აშრობენ და ახარისხებენ. ამ პროცესში ქირაობენ მუშახელს, რადგან დაფნის ფოთლებისა და ღეროების დაცალკეება ხელით ხდება. გადამამუშავებლები ფოთლის გადარჩევის დროს განაცალკეებენ მთლიან ფოთლებს და დამტვრეულ/დაზიანებულ ფოთოლს. შემდგომ კვლავ ხდება მთლიანი ფოთლის დახარისხება, განმენდა და გადარჩევა.

თუმცა, ხშირად, როგორც აღინიშნა, ფერმერები თავად აშრობენ დაფნას და შემდეგ აბარებენ გადამამუშავებლებს. ასეთ შემთხვევაში, გადამამუშავებლებს უჭირთ დაფნის ხარისხის კონტროლი, რადგან ხშირ შემთხვევაში, დაფნა არ არის სათანადოდ გამშრალი და, შესაბამისად, მისი საბაზრო ფასი იკლებს. თუმცა, ბუნებრივად გამშრალ დაფნაზეც არსებობს მოთხოვნა.

უმერტესად, დაფნის ექსპორტიორები სრულად ყიდნიან დაფნის ფოთოლს. გადამამუშავებლები აღნიშნავენ, რომ არა აქვთ საქონლის რეალიზების პრობლემა. მოთხოვნის სიდიდის გამო, იყიდება ყველანაირი ხარისხის დაფნა, რასაკვირველია განსხვავებულ ფასად.

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ გადამამუშავებლებისთვის პრობლემაა არასაკმარისი რაოდენობის ნედლეული. დღესდღეობით, ქართულ დაფნაზე მოთხოვნას ქარხნები შესაბამისი რაოდენობის მიწოდებით ვერ პასუხობენ.

4.4 შუამავლეები

გვხვდება შემთხვევები, როდესაც ფერმერები თავად ახდენენ დაფნის ტრანსპორტირებას გადამამუშავებელამდე. ამ შემთხვევაში, ისინი შედარებით მაღალ ფასს 0.5 ლარს იღებენ. თუმცა, უმეტესწილად ფერმერებისგან დაფნას აგროვებენ შუამავლები და ტრანსპორტირებასაც ისინი უზრუნველყოფენ. შუამავლები მიდიან სოფლებში, თავად ჭრიან დაფნას და მიაქვთ გადამამუშავებლებთან. ასეთ შემთხვევაში, ერთი კილოგრამი დაფნის ფასი დაბალია – 0.15-0.20 ლარი. ხშირად გადამამუშავებლებს თავად ჰყავთ დაქირავებული შუამავლები, რომლებიც დადიან სოფლებში და დაფნას აგროვებენ საკარმიდამო ნაკვეთებიდან, ორგანიზებულად.

გადამამუშავებლები ასევე თანამშრომლობენ დამოუკიდებელ შემგროვებლებთან. დამოუკიდებელი შემგროვებლები თავად უზრუნველყოფენ მთელი პროცესის ორგანიზებას და შემდეგ დაფნას აბარებენ გადამამუშავებლებს.

4.5 ადგილობრივი და უსხოელი მომხმარებელი

საქართველოში წარმოებული დაფნის თითქმის 99%-ის ექსპორტი ხორციელდება. საქართველოში დაფნა, ძირითადად, გამოიყენება საკვები დანიშნულებით, ასევე სანელებლების სახით, თუმცა მცირე რაოდენობით. უმეტესად, მომხმარებლები დაფნის ფოთოლს პირველადი სახით გამოიყენებენ საკვებში.

დაფნა უფრო მეტად კვების ინდუსტრიაში გამოიყენება. საქართველოდან ექსპორტზე გატანილი დაფნა ხვდება უცხოელ გადამამუშავებლებთან. არიან გადამამუშავებლები, რომლებიც შემდგომ დაფნას აფასობენ და ფოთლის ან დაფხვნილი სახით ყიდნიან სუპერმარკეტებში. ზოგიერთი გადამამუშავებელი დაფნას იყენებს საკვების წარმოებაში. ევროპის სუპერმარკეტებში შეხვდებით დაფასობულ დაფნას, რომლის ფასი 30-გრამიანი შეფუთვისას შეიძლება იყოს 1.40 ევრო. ყურადღება ასევე გამახვილებულია დაფნის სასარგებლო თვისებებზე მედიცინაში.

4.6 დაფნის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები

დაფნის ღირებულებათა ჯაჭვზე ასევე მოქმედებს გარე ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ღირებულებათა ჯაჭვში მიმდინარე პროცესებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი გარე ფაქტორები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ დაფნის სექტორის განვითარებაზე.

4.6.1 პესტისი და ფერმერთა მომსახურების სენტრები და სახელმწიფო პროგრამები

სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ფუნქციონირებს ზუგდიდის, აბაშის, სენაკის ხობის, წალენჯიხის, მარტვილისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში. ამ ცენტრებში ფერმერებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ, არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ეს ცენტრები, ძირითადად, არ გასცემენ აგროკონსულტაციებს, თუმცა შეუძლიათ მათ ხელთ არსებული სხვადასხვა კვლევის შესახებ ინფორმაცია მიანოდონ ფერმერებს.

სოფლის მეურნეობის პროგრამების მართვის სააგენტო (APMA) ახორციელებს რამდენიმე პროექტს, რომლითაც დაფნის გადამამუშავებლებმა ისარგებლეს. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „წარმოე საქართველოში“, რომლითაც ფინანსდება დაფნის გადამამუშავებელი საწარმოები სხვადასხვა კომპონენტში (ინფრასტრუქტურაზე (უძრავ ქონებაზე) ხელმისაწვდომობა).

2017 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი ახალი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაიხსნა დაფნის გადამამუშავებელი ვანში. ვანში განხორციელებული ინვესტიციის რაოდენობა 597,482 აშშ დოლარს შეადგენდა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება 239,000 აშშ დოლარია. კომპანია წელიწადში 236 ტონა სხვადასხვა ხარისხის დაფნის ფოთოლს გადამამუშავებს. რისთვისაც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებს.

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2014 წელს დაფინანსდა დაფნის გადამამუშავებელი საწარმო „ლაურუსი“. განხორციელებული ინვესტიცია 250,000 აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც 150,000 აშშ დოლარი შელავათიანი აგროკრედიტია. საწარმოში 100-ზე მეტი ადამიანი დასაქმებული.¹⁵

¹⁵ www.apma.ge

ჩამოთვლილი პროგრამები ეხებოდა უშუალოდ დაფნის გადამამუშავებას. უნდა აღინიშნოს, რომ “დანერგე მომავლის” პროგრამის ბალების კომპონენტში, რომელიც მიზნად ისახავს მრავალწლოვანი ბალების თანადაფინანსებას, დაფნა არ შედის.

4.6.2 სექტორული უსოხიუხი

დღესდღეობით, არ არსებობს დაფნის ფოთლის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა ასოციაცია. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ დაფნის გადამამუშავებლებს მსგავსი ასოციაციის ჩამოყალიბების სურვილი აქვთ, თუმცა, ასოციაცია ჯერ არ არსებობს. სექტორული ასოციაცია ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და წინსვლას. თავდაპირველად შესაძლოა დონორი ორგანიზაციები და სახელმწიფო გახდეს ასეთი ასოციაციის ჩამოყალიბების ხელშემწყობი, რათა მოხდეს ამ სექტორის გაძლიერება. ასოციაცია შეიძლება დაფნის სექტორში სხვადასხვა ტრენინგის ორგანიზატორი იყოს, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მიმართულებით. ასევე შესაძლებელია ასოციაციამ მოაწყოს საჩვენებელი ნაკვეთები რამდენიმე მუნიციპალიტეტში და პოპულარიზაცია გაუწიოს დაფნის სწორად მოვლის აგროტექნოლოგიებს.

4.6.3 კვლევითი ორგანიზაციები

იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაკარგული იყო დაფნის წარმოებისადმი ინტერესი, შესაბამისად არ ხორციელდებოდა კვლევები ამ მიმართულებით. არ არსებობს დარგის საფუძვლიანი კვლევა. მნიშვნელოვანია USAID-ის 2017 წელს ჩატარებული კვლევა „ქართული დაფნა და მისი საექსპორტო პოტენციალი“, რომელიც დაფნის საექსპორტო ბაზრებს განიხილავს. დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვალიფიციური კვლევები და შესაბამისი რეკომენდაციები.

4.6.4 დონორები და პრესამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი (REAP) USAID-ის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტია, რომლის მიზანია მეწარმეების იდენტიფიცირება და ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობა. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ფერმერთა და მექანიზაციის მომსახურების ცენტრები, პირველადი მწარმოებლები, ინფორმაციისა და სერვისის მიმწოდებლები, სასაწყობე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები. ამ პროექტის ფარგლებში მოხდა ზუგდიდში დაფნის გადამამუშავებელი საწარმოს „Agroline Georgia“-ს დაფინანსება.

5. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების პოლიტიკა

5.1 დაფინანსების საშუალებების მიმოხილვა

პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ თავში მიმოხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების საშუალებები და ბარიერები. ყურადღება გამახვილებულია დაფინანსების კულტურასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე.

ზოგადად, დაფინანსების მთავარ წყარო კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია. აღნიშნული ორგანიზაციები ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს სთავაზობენ როგორც სესხებს, ასევე სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების გახსნას.

ფინანსური ინსტიტუტების ინფორმაციით, სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისინი, ძირითადად, ხელმძღვანელობენ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე, საპროგნოზო შემოსავლებზე, მათ მიმდინარე ვალდებულებებსა და სესხის მომსახურების დაფარვის ხარისხზე ინფორმაციით. მათივე ინფორმაციით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არა გამამყვეტი, კომპონენტია სესხის უზრუნველყოფა. სესხის უზრუნველყოფა, უმეტესად, ხდება უძრავი ქონებით, როგორიცაა სახლი ან მიწა (საძოვარი, ვენახი). თუმცა, აღნიშნავენ, რომ უზრუნველყოფისათვის მხოლოდ მიწა არ არის საკმარისი, მისი დაბალი ღირებულებიდან გამომდინარე.

თუმცა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაფინანსების ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა გამოკითხვაზე დაყრდნობით, ისინი ცდილობენ, არ მიმართონ საფინანსო ინსტიტუტებს დაფინანსების მოსაპოვებლად, რადგან იმის გამო, რომ მათ არა აქვთ სტაბილური ყოველთვიური შემოსავალი, მათ უწესდებათ მაღალი საპროცენტო განაკვეთი და გირაო.

დაფინანსების მოძიების კიდევ ერთი გზაა სოფლის მეურნეობის სფეროს წახალისების მიზნით შექმნილი სახელმწიფო პროგრამები. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს დაარსდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA)¹⁶, რომელიც ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ახორციელებს და მართავს აღნიშნული სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს. პროგრამების ფარგლებში, სააგენტო აფინანსებს სოფლის მეურნეობაში ჩართულ თითქმის ყველა ძირითად რგოლს, რეგიონების მიხედვით. ქვემოთ ჩამოთვლილია პროექტები, რომლების ფარგლებშიც მოხდა ბენეფიციარების დაფინანსება სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონში.

¹⁶ Agricultural Projects Management Agency

დანერგე მომავალი¹⁷

პროგრამა მიზნად ისახავს არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას და ადგილობრივი სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერას, რაც ჩაანაცვლებს იმპორტს და გაზრდის ექსპორტის პოტენციალს.

პროგრამას აქვს ორი კომპონენტი:

- მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი – ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულება (არა უმეტეს 70%) და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა (50%);
- სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი – ხდება განსაზღვრული დასაფინანსებელი ღირებულების არა უმეტეს 50%-ის თანადაფინანსება, ჯამურად არა უმეტეს 150 000 ლარი.

ორივე კომპონენტის შემთხვევაში, ბენეფიციარებს ასევე უტარდებათ მოვლისათვის აუცილებელი ცოდნის შესაძენი ტრენინგები.

აღსანიშნავია, რომ პროექტი დაიწყო 2015 წლიდან და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებულმა ბენეფიციარებმა ისარგებლეს როგორც მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტით (უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის ბაღების კომპონენტში არ შედის დაფნა), ასევე სანერგეების დაფინანსებით. სანერგეების კომპონენტი ამ რეგიონში დაფინანსდა მხოლოდ 2016 წელს – 2 ბენეფიციარი 4 ჰექტარზე, 85529 ლარის ოდენობით.

ცხრილი 5.1: პროგრამა „დანერგე მომავალს“ შედეგები 2015-2017

	ბენეფიციარების რაოდენობა	ფართობი (ჰა)	საბაგნტოს თანადაფინანსება (ლ)
2015	7	62	195,760
2016	23	228	463,503
2016 (ბალი)	2	4	85,529
2017	17	63	708,179
სულ	49	357	1,452,971

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა¹⁸

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში და ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

პროგრამის მიზანია პროდუქციის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა (პირველადი წარმოების კომპონენტი) და გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტი). შესაბამისად, პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

¹⁷ http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

¹⁸ http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

1. პირველად წარმოებას;
2. გადამამუშავებელ და შემნახველ წარმოებას.

პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან და მოიცავს დაფინანსების კულტურასაც. 2016 წელს სამეგრელოში დაფინანსდა მხოლოდ 2 პროექტი პირველ კომპონენტში, 38,430 ლარით, ხოლო 2017 წელს – პირველ კომპონენტში დაფინანსდა 14 ბენეფიციარი 232,206 ლარით და მეორე კომპონენტში – 1, 194,946 ლარით.

შელავათიანი აგროკრედიტი¹⁹

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები კომერციული ბანკებისგან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შელავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. ამისათვის ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ წინასწარ განსაზღვრულ პირობებს.

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება გარკვეულ პროცენტზე;
2. შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება სესხზე და მისი მეორადი უზრუნველყოფა (სახელმწიფო ანაზრაურობებს სრულ თანხას, თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს გადახდას);
3. შელავათიანი აგროლიზინგი – სალიზინგო საზღაურის ნაწილის თანადაფინანსება;
4. **სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“²⁰** – პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ეს პროგრამა ითვალისწინებს ახალი საწარმოების შექმნას ან არსებულის გაფართოებას, რომლებიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს. ხდება როგორც სესხის თანადაფინანსება, ასევე შელავათიანი პერიოდის დაწესება (გარკვეული პერიოდი, როდესაც საწარმო არ იხდის პერიოდულ გადასახადს).

ჩამოთვლილი ოთხივე კომპონენტი აფინანსებს როგორც პირველად, ასევე გადამამუშავებელ საწარმოებს. ლიზინგის შემთხვევაში, ხდება იმ კომპანიების დაფინანსებაც, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს. „აწარმოე საქართველოში“ ასევე აფინანსებს ინფრასტრუქტურულ საწარმოებსაც, როგორებიცაა მარცვლეულის საშრობები, საწყობები და სამაცივრე მეურნეობები.

¹⁹ http://apma.ge/projects/read/agro_credit/5:parent

²⁰ http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/; <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>

ცხრილი 5.2: პროგრამა „შელავათიანი აგროკრედიტის“ შედეგები 2013-2017²¹

	ბანეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ლ)	ბანეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ლ) ²¹
2013	146	1,970,265	22	5,682,500
2014	352	6,041,073	25	4,298,559
2015	105	4,200,000	41	3,623,932
2016	78	3,350,155	43	3,757,684
2017	198	13,283,543	4	833,040
სულ	879	28,845,036	135	18,195,715

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ერთ-ერთი მაგალითია დაფნის გადამამუშავებელი საწარმო „ლაურუსი“. 2014 წელს განხორციელებული ინვესტიცია 250,000 აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც 150,000 აშშ დოლარი შელავათიანი აგროკრედიტია. საწარმოში 100-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.²²

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი²³

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სექტორში შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და გაფართოებას. პროგრამის ფარგლებში, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება სამი გზით არის შესაძლებელი – სააგენტოს თანადაფინანსებით, შელავათიანი კრედიტით/ლიზინგით, ან ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობით.

2014-2017 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოხდა 12 გადამამუშავებელი საწარმოს თანადაფინანსება 2,970,342 ლარით. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში შემნახველი საწარმოს დაფინანსება რეგიონში არ მომხდარა, თუმცა 2018 წლის პირველ ნახევარში დაფინანსდა ერთი შემნახველი საწარმო 344,976 ლარით.

2017 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი ახალი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაიხსნა დაფნის გადამამუშავებელი საწარმო ვანში. ვანში განხორციელებული ინვესტიციის რაოდენობა 597 482 აშშ დოლარს შეადგენდა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება 239 000 აშშ დოლარია. კომპანია წელიწადში 236 ტონა სხვადასხვა ხარისხის დაფნის ფოთოლს გადაამუშავებს, რისთვისაც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებს.

არსებობს ისეთი სახელმწიფო პროგრამებიც, რომლებიც არ გულისხმობს პირდაპირ დაფინანსებას, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ხელი შეუწყოს ღირებულებათა ჯაჭვის მიწოდებას დაფინანსების მოპოვებაში.

²¹ 2017 წელს ვალუტის მიხედვით გაცემული თანხების შეცვლილი სტრუქტურა, თანხის გაზრდილი მოცულობა ლარში და შემცირებული დოლარში შესაძლოა, აიხსნას ეროვნული ბანკის ლარიზაციის პოლიტიკით. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3030>

²² www.apma.ge

²³ <http://apma.ge/projects/read/grant/6:parent>

აგროდაზღვევა²⁴

პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

პროგრამის განხორციელების მიზნით, APMA-ს აქვს ხელშეკრულება ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც ახდენს მეურნეობების სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

პროგრამის ფარგლებში ხდება სეტყვით, წყალდიდობით, ქარიშხლით ან ყინვით დაზიანებადი კულტურების დაზღვევა. დამზღვევი ფინანსდება 70%-ით ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა (50% თანადაფინანსება). შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე კულტურის დაზღვევაც.

ცხრილი 4.3: პროგრამა „აგროდაზღვევის: შედეგები 2014-2017“

	პოლისის რ-ბა	სადაზღვევო ლიმიტი, ლ	სადაზღვევო პრემია, ლ	სააგენტოს მიერ გადახდილი პრემიის წილი, ლ	დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიის წილი, ლ	ფართობი, ჰა
2014	1,215	7,104,357	462,016	421,006	35,559	1,081
2015	558	2,787,064	182,470	109,453	72,969	490
2016	2,181	9,994,578	674,138	496,055	178,083	1,728
2017	1,922	6,802,381	424,367	297,044	127,323	1,535

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ამ პროგრამაში მონაწილეებს შორის არ შეინიშნება ზრდის ან კლების მკვეთრი ტენდენცია და სტატისტიკა წლების მიხედვით საკმაოდ მერყეობს.

ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი²⁵

პროექტი ითვალისწინებს ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემის შექმნას, რომლის საშუალებითაც სასოფლო-სამეურნეო აქტივების და მათი მესაკუთრეების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაცია განთავსდება ერთიან ელექტრონულ სივრცეში.

პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ბოლომდე უნდა მოხდეს 100,000-მდე ფერმის რეგისტრაცია, ხოლო გრძელვადიანად, ბაზაში აისახება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი. ბაზის შექმნის შემდგომ, პერიოდულად მოხდება ინფორმაციების მოძიება და განახლება. პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონებში ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას, რადგან გაამარტივებს ჯაჭვის მონაწილეების იდენტიფიცირებას და გააუმჯობესებს მონაცემების სანდოობას.

²⁴ <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>

²⁵ http://apma.ge/projects/read/farms-farmers_registration_project/

5.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, რეგიონში არაერთი ბენეფიციარი დაფინანსდა. თუმცა, უშუალოდ დაფინანსდებიან ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ, გამოკითხული ფერმერებისა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეების ნაწილის თქმით, მათ არა აქვთ ინფორმაცია, სახელმწიფო პროგრამების თაობაზე – მხოლოდ გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარს სმენია „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის შესახებ. ასევე, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთ მონაწილეს უცდია დაფინანსების ამ გზით მოპოვება, თუმცა წარუმატებლად. გამოკითხულები მიზეზად ასახელებენ პროგრამაში მონაწილეებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების სირთულეს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებთან მოხდეს იმის კომუნიკაცია, თუ რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ ამა თუ იმ პროგრამაში დაფინანსების მისაღებად და აღნიშნულის მომზადებაში ხელშეწყობა.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა უმრავლესობა ფულად სახსრებს თავად მოიძიებს ან ფიზიკური პირებისგან სესხულობს, თუმცა დაფინანსების წყაროდ ასევე დასახელდა ბანკები. ამ კუთხით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხული მონაწილეები ძირითად გამოწვევად მიიჩნევენ სესხზე მაღალ საპროცენტო განაკვეთსა და ძვირად ღირებულ გირაოს. ასევე, მათთვის საეჭვოა ბანკების თანამშრომლების კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობის მიმართულებით. დაბალკვალიფიციური ბანკის თანამშრომლები დარგს აფასებენ მაღალრიცხიანად და, შესაბამისად, მაღალ საპროცენტო განაკვეთს აწესებენ.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, ასევე, ეხმიანება მინოდებს მხარე. ბანკებისათვის სესხის უზრუნველყოფა და შემოსავლების დადასტურება მთავარი პრობლემებია, რის გამოც უარს ეუბნებიან სესხების მსურველებს. სოფლის მეურნეობის დარგში შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვიანობა პრობლემას წარმოადგენს, რაც ართულებს შემოსავლების დადასტურებას და, შესაბამისად, სესხის გაცემას. ფინანსური ინსტიტუტებს აქვთ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმები, რითიც ხდება გასაცემი სესხების რისკიანობის შეფასება, ხოლო მის საფუძველზე გაიანგარიშება სესხის პროცენტი. ფინანსური ინსტიტუტებს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საპროცენტო განაკვეთები დარგში არსებული რისკების ადეკვატურია.

ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა, მაგ., შეღავათიანი აგროკრედიტი გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიერ სესხის აღებას, რომლით პროცენტის სუბსიდირებასაც ახდენს სააგენტო. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ APMA-ს ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში (დანერგე მომავალი და შემნახველი საწარმოების პროგრამა), სააგენტოს წინასწარ აქვს განსაზღვრული იმ დოკუმენტების და ინფორმაციის ნუსხა, რაც უნდა შეავსოს და წარმოადგინოს პოტენციურმა ბენეფიციარმა. შესაბამისად, ტექნიკური ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ყველა განაცხადი ფინანსდება.

ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია ჯაჭვის მონაწილეებს შორის საკონტრაქტო შეთანხმებების არსებობა²⁶. აღნიშნული ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის, რადგან კონტრაქტების საშუალებით მარტივდება მსესხებლის შემოსავლების დადასტურება და გადახდისუნარიანობის შეფასება, შედეგად მცირდება რისკები და მარტივდება მათზე სესხის გაცემა. საგულისხმოა, რომ როგორც დაფინანსების მწარმოებლებმა აღნიშნეს, მათ აქვთ წინასწარ გაფორმებული შეთანხმებები დაფინანსების შემსყიდველ საწარმოებთან. მსგავსმა პრაქტიკამ, თუ ის ოფიციალურ სახეს მიიღებს (ოფიციალურად ხელმოწერილი

²⁶ იგულისხმება დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს, რომ მენარმე ჩართულია ჯაჭვში და კავშირი აქვს ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან

დოკუმენტები), შესაძლოა გაამარტივოს ფინანსებზე წვდომა, რადგან ეს იქნება ჯაჭვში ჩართულობის და შემოსავლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სახელმწიფოსა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მათი ერთ-ერთი მიზანი ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობა და, შესაბამისად, ჯაჭვის რგოლებისათვის ფულადი სახსრების მიწოდებაა. აქედან გამომდინარე, ფერმერების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების წარმომადგენლების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვით, შესაძლებელია მათი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

6. Global Value Chain-ში მონაწილეობის პოტენციალი

6.1 წარმოების დონე მსოფლიოში


მსოფლიოში ცნობილია დაფნის რამდენიმე ჯიშ: კალიფორნიული, ინდონეზიური, ინდური, მექსიკური დაფნის ჯიშები. დაფნის ფოთლის გამოყენება ხდება შემდეგი სამი მიმართულებით:

- საკვები;
- მედიცინა;
- კოსმეტიკა.

დაფნის ფოთლებისგან ასევე მიიღება ეთერზეთი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სუნელის დასამზადებლად და ემატება სხვადასხვა საკვებ პროდუქტს.

მსოფლიოში დაფნაზე მოთხოვნა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია მისი პოპულარობის ზრდით კულინარიაში და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებების გამო. დაფნის ზეთი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ტეტანუსის, ციებ-ცხელების სამკურნალოდ. დღესდღეობით, გამოიყენება ნერვული აშლილობის, დეპრესიის, უძილობის დროს. დაფნას გააჩნია დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიესპტიკური, მადეზინფიცირებელი, ანთების საწინააღმდეგო ეფექტები, დიაბეტის მარეგულირებელი, კიბოს პრევენციის თვისებები.²⁷

დიაგრამა 6.1: დაფნის წარმოება მსოფლიოში (2008-2016 წლები)



წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, 2008 წელს სულ მსოფლიოში იწარმოვა 1,665,389 ტონა დაფნა, რაც 45%-ით ნაკლებია 2016 წლის მონაცემზე. 2016 წელს წარმოება გაზრდილია ასევე წინა წელთან შედარებით 13%-ით.

²⁷ www.lybrate.com

6.1.1 უმსხვილესი მწარმოებლები

მსოფლიოში 2016 წელს სულ წარმოებულ იქნა 2,413,284 ტონა დაფნა. მსოფლიოში უმსხვილეს მწარმოებელს შორის აზია პირველ ადგილს იკავებს, რომელიც მთლიანი წარმოების 95% შეადგენს. დანარჩენ კონტინენტებზე ნაწილდება შედარებით მცირე მოცულობები.

ცხრილი 6.1: დაფნის წარმოება მსოფლიოში (2016 წელი)

რეგიონები	რაოდენობა(ტონა)
მსოფლიო	2,413,284
აზია	2,294,478
აფრიკა	74,590
ჩრდილოეთ ამერიკა	24,822
ევროპა	11,774
ოკეანია	1,014

წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

მსოფლიოში დაფნას აწარმოებს 74 ქვეყანა. ამ ქვეყნებიდან ყველაზე დიდი მწარმოებელია ინდოეთი, რომელმაც 2016 წელს აწარმოვა 1,523,000 ტონა დაფნა, რაც მთლიანი წარმოების 63%-ს წარმოადგენს. წარმოების მოცულობით მეორე ადგილზეა თურქეთი, რომელმაც 2016 წელს აწარმოვა 247,665 ტონა დაფნა. დაფნის მწარმოებელი ქვეყნების წამყვანი ათეულის დანარჩენ თითქმის ყველა ადგილს აზიური ქვეყანები იკავებენ.

ცხრილი 6.2: დაფნის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნები მსოფლიოში (2016 წელი)

ქვეყნები	რაოდენობა (ტონა)
ინდოეთი	1,523,000
თურქეთი	247,665
ბანგლადეში	171,287
ინდონეზია	113,649
ჩინეთი	110,192
პაკისტანი	72,557
ეთიოპია	35,270
ნეპალი	21,640
კოლუმბია	15,548
მიანმარი	6,940


წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

რაც შეეხება საქართველოს, FAO-ს მონაცემების მიხედვით, 2016 წელს წარმოების მოცულობის მიხედვით 17-ე ადგილს იკავებს.

6.1.2 ყველაზე მაღალი მოსავლიანობის მქონე ქვეყნები

2016 წელს მსოფლიოში საშუალო მოსავლიანობა 2.27 ტონა დაფნა/ჰექტარზე დაფიქსირდა. კონტინენტების მიხედვით, ყველაზე მაღალი საშუალო მოსავლიანობა ფიქსირდება აზიაში 2.34 ტონა/ჰექტარზე.


დიაგრამა 6.2: მსოფლიოში დაფნის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე (2000-2016 წელი)



წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

საშუალოდ დაფნის მოსავლიანობა მსოფლიოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. დაფნის მოსავლიანობა 1 ჰექტარზე 2000 წელს შეადგენდა 1.8 ტონას ჰექტარზე, რაც 25%-ით ნაკლებია 2016 წლის მონაცემზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლიანობის მაჩვენებლით ლიდერი ქვეყნების მონაცემები მსოფლიოს საშუალოს ბევრად აღემატება.

დიაგრამა 6.3: საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰა), 2016 წელი



წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

საშუალო მოსავლიანობით 1 ჰექტარზე მოწინავე ქვეყანაა გვინეა, სადაც წარმოება აღწევს 32 ტონას. აღსანიშნავია, რომ ათეულში არ მოხვდა არც ერთი ევროპული ქვეყანა.

საქართველოში დაფნის მოსავლიანობის შესახებ არ არსებობს ოციალური მონაცემები. თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის ოპერატიული მონაცემების თანახმად, 2017 წელს დაფნის მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 1.8²⁸ ტონას.

6.1.3 ფასები

მწარმოებელი ქვეყნების დაფნის ფასების მონაცემებზე ინფორმაცია არ მოიპოვება. მხოლოდ ცნობილია, რომ FAO-ს მონაცემების მიხედვით, გრენადაში, რომელიც წარმოების მოცულობის მიხედვით მე-16 ქვეყანაა, მწარმოებლის ფასი შეადგენს 1.67 აშშ დოლარს.

ევროკავშირის ბაზარზე დაფნის ფასს ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. პირველ რიგში ფასის განმსაზღვრელია დაფნის ფოთლის ხარისხი და წარმომავლობა. ასევე დიდ როლს თამაშობს გადამუშავების ტიპი (მთლიანი ფოთოლი, დანაწევრებული) და შეფუთვის ფორმა. ევროკავშირის ბაზარზე ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ბიოპროდუქტს, რომლის შემთხვევაშიც ფასნამატი მერყეობს 5-15%-მდე.²⁹

როგორც უკვე აღინიშნა, თურქეთი დაფნის წარმოებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია და საქართველოდან ექსპორტის დიდი ნაწილი(24%) სწორედ თურქეთში ხორციელდება. ამიტომ საინტერესოა შევხედოთ დაფნის ფოთლის ფასს თურქეთში. გადამუშავებული (დაქუცმაცებული) დაფნის ფასი 1 კილოგრამზე მერყეობს 0.5-1.7 აშშ დოლარს შორის. 1 კილოგრამი საშუალო ხარისხის დაფნის ფასი იწყება 2 აშშ დოლარიდან და შეიძლება 9.5 აშშ დოლარს მიაღწიოს.

6.1.4 უმსხვილესი იმპორტიორები და ექსპორტიორები

მსოფლიოში დაფნის ყველაზე დიდი ექსპორტიორია ინდოეთი. ინდოეთმა 2017 წელს განახორციელა 99,604 ტონა დაფნის ექსპორტი, რაც ღირებულებაში შეადგენდა 107,196 ათას აშშ დოლარს.³⁰ მისი მთავარი საექსპორტო ქვეყნები არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ნეპალი, ვიეტნამი, დიდი ბრიტანეთი და არაბთა გაერთიანებული საემიროები.


მეორე ყველაზე დიდ ექსპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს თურქეთი, რომელმაც 2017 წელს განახორციელა 35,664 ტონა დაფნის ექსპორტი, რაც ღირებულებაში იყო 107,181 ათასი აშშ დოლარი. თურქეთის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია ამერიკის შეერთებულ შტატები, ვიეტნამი, გერმანია და ბრაზილია.

²⁸ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაცია

²⁹ Bay leaf in Germany, EU, May 2018

³⁰ Trade Map და Comtrade-დან აღებულია 091099 კოდის მონაცემები, რომელიც მოიცავს მონაცემებს დაფნისა და სანელებლების შესახებ.

დიაგრამა 6.4: დაფნის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები




წყარო: ITC – Trade Map

დაფნის იმპორტით პირველ ადგილზეა ვიეტნამი, რომელმაც 2017 წელს განახორციელა 27,758 ტონა დაფნის იმპორტი. იმპორტირებული დაფნის საშუალო ფასი ვიეტნამში დაბალია და 2017 წლის მონაცემებით შეადგენდა 0.98 აშშ დოლარს. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ვიეტნამში ხდება დაბალი და საშუალო ხარისხის დაფნის იმპორტი.

იმპორტის მოცულობით მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც 2017 წელს მოახდინა 25,189 ტონა დაფნის იმპორტი. ძირითადად მისი მომწოდებელი ქვეყნები არიან თურქეთი, ინდოეთი, მექსიკა და ესპანეთი.

დიაგრამა 6.5: დაფნის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები




წყარო: ITC – Trade Map

6.2 საქართველოს დაფნის ვაჭრობის სტატისტიკა

დაფნის მთლიანმა ექსპორტმა 2017 წელს 4,607 ტონა შეადგინა. ოფიციალური სტატისტიკა დაფნის წარმოებისა და მოხმარების შესახებ საქართველოში არ მოიპოვება. თუმცა, კვლევისას ჩატარებული ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან ირკვევა, რომ საქართველოში წარმოებული დაფნის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 99%, გადის ექსპორტზე.

დიაგრამა 6.6: საქართველოდან დაფნის ექსპორტის რაოდენობა და ღირებულება³¹



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.Geostat.ge

როგორც მე-8 დიაგრამაზეა ნაჩვენები, 2017 წელს დაფნის ექსპორტის რაოდენობა წინა წელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა. ბოლო ხუთი წლის (2012-2017 წლები) მონაცემების საშუალოს მიხედვით 1 კილოგრამი დაფნის საექსპორტო ფასია 1.64 აშშ დოლარი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ საქართველოდან, უმეტესად, ხდება დაბალი და საშუალო ხარისხის დაფნის ექსპორტი, რაც ჩატარებული ინტერვიუებიდანაც დასტურდება.

საქართველოს ძირითად საექსპორტო ბაზრები საკმაოდ კონცენტრირებულია. ქართული დაფნის ექსპორტი, ძირითადად, ხორციელდება რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. რუსეთში ექსპორტმა 2017 წელს დაფნის მთლიანი ექსპორტის 40% (1,840 ტონა) შეადგინა.


ბუნებრივია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის საქართველოს დაფნის ხარისხი და ფასი ნაცნობი და მისაღებია. ამავდროულად, ქართველი ექსპორტიორებისთვის არსებული კონტაქტები და ნაცნობი საექსპორტო გზები ამარტივებს და აიაფებს ექსპორტს ტრადიციულ ბაზრებზე. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მაღალ რისკებს ქმნის ქართველი ექსპორტიორებისთვის და, მათ შორის, დაფნის ექსპორტიორებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქართველმა ექსპორტიორებმა მოახდინონ ბაზრების დივერსიფიკაცია და იფიქრონ DCFTA-ს შესაძლებლობის ათვისებაზე.

³¹ მოცემულია 2018 წლის იანვარი-ივლისის მონაცემები.

მეორე ადგილზე ექსპორტის მოცულობით თურქეთია, სადაც 2017 წელს ექსპორტზე 1,132 ტონა (24%) დაფნა გავიდა. 2017 წელს თურქეთი მსოფლიოში დაფნის ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნების ათეულის მეშვიდე ადგილზეა. ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში წარმოებული და თურქეთში ექსპორტირებული დაფნის ფოთოლი დამატებით გადამუშავდება და თურქეთიდან დამატებული ღირებულებით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე. ამასთან ერთად, თურქეთი პირდაპირ რეექსპორტით აგზავნის საშუალო ხარისხის დაფნის ფოთოლს სხვადასხვა ბაზარზე, ყოველგვარი დამატებითი ღირებულების გარეშე (USAID, 2017).

რუსეთთან და თურქეთთან ერთად, საქართველოს დაფნის საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი და სხვები.

დიაგრამა 6.7: საქართველოდან დაფნის საექსპორტო ქვეყნები (2017 წელი)



წყარო: ITC – Trade Map

საქართველო ახორციელებს მცირე რაოდენობის იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა, თურქეთი, ინდოეთი და ბულგარეთი. სულ ჯამში 2017 წელს საქართველოში განხორციელდა 122 ტონა დაფნის იმპორტი. აქედან 48% ის იმპორტი განხორციელდა უკრაინიდან.

6.2.1 კოტეხილის შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, ძირითად შემთხვევებში, საქართველოში ფერმერები სათანადოდ არ უვლიან დაფნის პლანტაციებს. ხარჯებს ზოგავენ და პლანტაციებში სასუქები არ შეაქვთ. შესაბამისად, დაფნის მოსავლიანობა საქართველოში არც თუ ისე მაღალია. შესაძლებელია დაფნის მოსავლიანობის გაზრდა, შესაბამისი მოვლის პირობებში.

ამ თავში გაანგარიშებულია ის შესაძლო ხარჯები, რისი გაღებაც ფერმერს მოუწევს დაფნის პლანტაციების სათანადო მოვლის შემთხვევაში.

დღესდღეობით, საშუალოდ სამეგრელოს რეგიონში ერთი ძირი დაფნიდან 2-3 კგ ფოთოლი იკრიფება. დაფნის ახალგაზრდა ნარგავებში პირველი მოსავლის აღება იწყება 3 წლიდან. ნიადაგის კულტივაცია საჭიროა წელიწადში 2-3-ჯერ. დაფნის პლანტაციაში სასუქების შეტანა დიფერენცირებულად ხდება – პლანტაციის ასაკის, მოსავლიანობის, ნიადაგის ტიპისა და ნაყოფიერების გათვალისწინებით. ძირითადად, სასუქის შეტანა ხდება ვეგეტაციის პერიოდში გაზაფხულზე და ასევე მეორე ვეგეტაციის დროს ზაფხულის ბოლოს.

პირველ რიგში, განვიხილოთ ხარჯები და შემოსავლები იმ შემთხვევისათვის, თუ ფერმერს სურს დაფნის გაშენება 1 ჰექტარზე. სულ 1 ჰექტარი დაფნის გაშენების ხარჯი არის 10,035 ლარი. მთლიან ხარჯში ყველაზე დიდი წილი უჭირავს ნერგების შესყიდვას – 8,000 ლარი. ნერგის ფასი მერყეობს 0.60-1.00 ლარს შორის. ერთ ჰექტარზე შეიძლება დაირგოს დაახლოებით 10,000 ძირი დაფნის ნერგი.

ცხრილი 6.3: დაფნის პლანტაციის გაშენების ხარჯები

დანახარჯები	(ლარი)
ნერგი	8,000
ტექნიკით ნიადაგის გასუფთავება	475
სასუქი	500
სარეველების მოშორება	400
რიგებს შორის კულტივაცია	260
მუშახელი (დარგვა)	200
აზოტი	200
სულ ხარჯები	10,035

წყარო: ინტერვიუებზე დაყრდნობით, ავტორის გაანგარიშებით

პირველ და მეორე წელიწადს ფერმერს ექნება მხოლოდ დაფნის პლანტაციის მოვლის დანახარჯები, რომელიც შეადგენს დაახლოებით 1,860 ლარს წელიწადში.

ქვემოთ ცხრილში გაანგარიშებულია ფინანსური მაჩვენებლები დაფნის სრული მსხმოიარობის შემთხვევაში 1 წლისთვის. ასევე, ვუშვებთ, რომ სწორი აგროტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში, მოსავლიანობა ერთ დაფნის ხეზე მინიმუმ 3 კილოგრამი იქნება. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ყოველ წელს ხდება სრული ფართობის 50% აღება გასაყიდად, რადგან დაფნა ყოველ მეორე წელიწადს იძლევა მოსავალს. ფერმერები ამას აკეთებენ შემოსავლების გადანაწილების გამო, რათა ყოველ წელს სტაბილური შემოსავალი მიიღონ.

ცხრილი 6.4: ეკონომიკური ინდიკატორები დაფნის სრულად მსხმოიარობის შემთხვევაში 1 წელიწადში

ინდიკატორები	შედეგები
მთლიანი ხარჯი (ლარი)	1,860 ³²
მოსავალი (კგ/ჰა)	15,000
საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	0.5 ³³
შემოსავლები (ლარი)	7,500
მოგება (ლარი)	5,740
თვითღირებულება(ლარი/კგ)	0.12
მოგების მარჟა ³⁴ (%)	76%

წყარო: ინტერვიუებზე დაყრდნობით, ავტორის გაანგარიშებით

³² სასუქი – 500 ლარი, სარეველების მოშორება – 400 ლარი, რიგებს შორის კულტივაცია – 260 ლარი, მუშახელი – 500 ლარი, აზოტი 200 ლარი.

³³ ფერმერი ჭრის და გაშრობის გარეშე აბარებს გადამამუშავებელს.

³⁴ მოგების მგათვალისწინებელი არჟაში არ არის თავდაპირველი ფიქსირებული დანახარჯები.

ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ფერმერისთვის აჩვენებს, რომ დაფნის წარმოება არის მოგებიანი. საშუალო დანახარჯი 1 ჰა-ზე 1,860 ლარია, ხოლო შემოსავალი 7,500 ლარი. ასეთი შემოსავლის მიღება შესაძლებელია საშუალო მოსავლიანობისა (15 ტ/ჰა) და ფასის (0.5 ლ/კგ) შემთხვევაში.

რასაკვირველია, ფერმერებს შეუძლიათ თავად გააშრონ დაფნა და შემდეგ ჩააბარონ გადამამუშავებელს. ამ შემთხვევაში, დაფნის საშუალო ფასი იქნება მინიმუმ 2 ლარი.

ზემოთ მოყვანილი ხარჯები ჰიპოთეზურია, რადგან ფერმერები შესაბამისად არ უვლიან დაფნას და ეს ხარჯები წარმოდგენილია, ექსპერტსა და რამოდენიმე ინტერვიუზე დაყრდნობით.

საინტერესოა დავაკვირდეთ ღირებულებების აკუმულირებას ჯაჭვში და მათ გადანაწილებას მონაწილეების მიხედვით.

ცხრილი 6.5: დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლში

ფარმერი	შემგროვებელი	გადამამუშავებელი	მომხმარებელი (საზღვარგარეთ)
ფასი: 0.15-0.20 ლარი დამატებული ღირებულება: 0.15-0.20 ლარი	ფასი: 0.4-0.5 ლარი დამატებული ღირებულება: 0.25-0.30 ლარი	ფასი: 6.5-7.8 ლარი დამატებული ღირებულება: 6.1-7.3 ლარი	ფასი: 18 ლარი

წყარო: ავტორის გაანგარიშება


მე-12 ცხრილში ფასები მოცემულია იმ შემთხვევისთვის, როდესაც ფერმერი არ უვლის დაფნის პლანტაციას. დისტრიბუტორი მიდის მასთან სახლში და თავად ჭრის დაფნას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მაღალ ღირებულებას ჯაჭვში ქმნის გადამამუშავებელი, რომელიც არჩევს დაფნას, ტოტებს აცალკევებს ფოთლებისგან და გადაარჩევს დაზიანებულ დაფნას ხარისხიანისგან. შემდეგ აკეთებს დაფნის ფოთლების კალიბრაციას და ფუთავს შესაბამისად.

6.3 დაფნის ექსპორტში ექსპორტის პოტენციალი

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში წარმოებული დაფნის უდიდესი ნაწილი გადის რუსეთში, თურქეთსა და უკრაინაში. დანარჩენი დაფნა გადის უმეტესად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. რამდენიმეჯერ იყო დაფნის გატანის მცდელობა გერმანიაში. 2013 წელს 3.5 ტონა დაფნა იქნა ექსპორტირებული გერმანიაში და შემდგომ 2017 წელს – 7 ტონა.

დიაგრამა 6.8: დაფნის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.Geostat.ge

სულ საქართველომ 2017 წელს განახორცილა 82.6 ტონა დაფნის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, რაც მთლიანი ექსპორტის 1.8%-ია. ყველაზე დიდი რაოდენობის – 40 ტონა დაფნის გატანა მოხდა ლიტვაში, 2017 წელს პირველად.

ევროპა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დაფნის იმპორტიორია. მსოფლიოს მთლიანი იმპორტის 26%-ის იმპორტირება ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებში. მათ შორის, ყველაზე დიდ იმპორტიორს წარმოადგენს გერმანია, სადაც 2017 წელს განხორციელდა 67 883 ტონა დაფნის იმპორტი.

დიაგრამა 6.9: დაფნის უმსხვილესი იმპორტიორები ევროკავშირში, 2017 წელი



წყარო: ITC – Trade Map

გერმანია იმპორტს ახორციელებს პოლონეთიდან, ჰოლანდიიდან, თურქეთიდან, ინდოეთიდან და ა.შ. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, იგი, ძირითადად, მარაგდება ინდოეთიდან, ესპანეთიდან და ტაილანდიდან.


ცხრილი 6.6: სავაჭრო პარტნიორები ევროკავშირში

ევროკავშირ-ში დაფინის უმსხვილესი საექსპორტო ბაზრები	გერმანია	დიდი ბრიტანეთი	ღანია	გაუგია	ჰოლანდია	ესპანეთი
იმპორტიორი ქვეყნები	პოლონეთი	ინდოეთი	დიდი ბრიტანეთი	ჰოლანდია	ესპანეთი	მაროკო
	ჰოლანდია	ესპანეთი	ირლანდია	ინდოეთი	ბელგია	ინდოეთი
	თურქეთი	ტაილანდი	გერმანია	საფრანგეთი	თურქეთი	პოლონეთი
	ინდოეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი	დიდი ბრიტანეთი	ინდოეთი	საფრანგეთი

წყარო: ITC – Trade Map

ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია ქართველი მწარმოებლებისათვის, ფასის თვალსაზრისით. 2017 წელს ყველაზე მაღალი საექსპორტო ფასი ევროპაში დაფიქსირდა ფინეთში – 10 აშშ დოლარი კილოგრამზე. საშუალო ფასმა კი იმავე წელს 6.15 აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 6.10: 1 კილოგრამი დაფინის საექსპორტო ღირებულება ევროკავშირში



წყარო: ITC – Trade Map

ევროკავშირის ბაზარზე დაფინის მაღალ ფასს განსაზღვრავს დაფინის ფოთლის მაღალი ხარისხი, რომელსაც ევროკავშირის ბაზარი თავად ითხოვს. ქართული დაფინის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ შეძლებს ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საქართველოდან ექსპორტირებული დაფნის ღირებულება ერთეულზე შეადგენს 1.6 აშშ დოლარს, რაც ბევრად ჩამოუვარდება გრაფიკზე წარმოდგენილ ფასებს. საქართველოდან, ძირითადად, საექსპორტოდ გადის საშუალო და დაბალი ხარისხის დაფნის ფოთოლი, რაც განსაზღვრავს შემდგომ დაბალ ფასს პროდუქციაზე.

6.3.1 საჭირო სერტიფიკატები და მათთან ასოცირებული ხარჯები³⁵

ევროკავშირის ბაზარზე დაფნის ექსპორტისათვის უნდა დაკმაყოფილდეს ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნები, პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით. ევროკავშირის ბაზარზე ერთ-ერთი საბაზისო მოთხოვნა არის ევროპული სუნელების ასოციაციის დოკუმენტი (Quality Minima Document of the European Spice Association), რომელშიც აღწერილია ის მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაფნა. შემონმების საფუძველზე თუ აღმოჩნდა, რომ პროდუქცია არ აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს და არ არის უსაფრთხო, ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება.

ქართული დაფნის ექსპორტიორთა უმრავლესობას არა აქვს ისეთი სტანდარტები დანერგილი, როგორიცაა HACCP, ISO 22000 Global GAP. ეს სტანდარტები მნიშვნელოვანია იმ ექსპორტიორებისათვის, რომლებსაც სურთ თავიანთი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანა.

ევროკავშირის ბაზარზე მკაცრად კონტროლდება ასევე სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესახებ რეგულაციები. ამ რეგულაციების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სათანადო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპორტირებული დაფნის მიკვლევაა; ეს იმას გულისხმობს, რომ პროდუქცია მიკვლევადი უნდა იყოს მიწოდების მთელი სანარმოო ჯაჭვის მასშტაბით. მიწოდების ჯაჭვის ყველა მხარე უფრო მეტად უნდა გაერკვეს, საიდან მოდის პროდუქტი, უნდა შეეძლოს ინფორმაციის მიწოდება და დოკუმენტაციის წარმოება.

დაფნის გადამამუშავებლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სერტიფიკატი არის საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვა, რომელიც გულისხმობს სურსათის უვნებლობის სტანდარტებსა და საკვებ-მენეჯმენტის პრინციპების ჩამოყალიბებას. თუ ექსპორტიორს სურს დაფნის მაგალითად გერმანიაში გატანა, რეკომენდებულია ის ფლობდეს HACCP-ის სერტიფიკატს, თუმცა ეს ლეგალური ვალდებულება არაა. შეუძლებელია ყველაზე დიდი ხარჯის წინასწარ შეფასება, რომელიც იმ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე მოდის, რომელიც უნდა დანერგოს გადამამუშავებელმა კონსულტაციების შედეგად.

თუმცა, ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტიორთა უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აუღიათ ისეთი სერტიფიკატები როგორებიცაა, HACCP, ISO 22000 სტანდარტები. ეს სერტიფიკატები არ არის სავალდებულო, თუმცა მნიშვნელოვანია კონკურენციის თვალსაზრისით ევროკავშირის ბაზარზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სერტიფიკატია GLOBALG.A.P.-ის სერტიფიკატი, რომელიც ვარგისია აღებიდან 12 თვის განმავლობაში. ფერმერულ მეურნეობას სტანდარტის დანერგვა უჯდება მინიმუმ 10,000 აშშ დოლარი. ამ თანხის 50% მოდის ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიის მომსახურების ანაზღაურებაზე, ხოლო დანარჩენი 50% – უშუალოდ აუდიტსა და სერტიფიცირებაზე.

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები შეადგენს 185 ლარს (ფოტოსანიტარული სერტიფიკატი და ანალიზი მძიმე ლითონების შემცველობაზე). ასევე უნდა გავითვალის-

³⁵ Bay leaf in Germany, EU, May 2018

ნინოთ დაზღვევის ღირებულება, რომელიც ზედნადებში მითითებული მთლიანი ღირებულების 0.3%-ია.

6.3.2 ტრანსპორტირების სერვისები

20-ტონიანი კონტეინერის შემთხვევაში, სადაც გარკვეული ტემპერატურული რეჟიმია დაცული, დანახარჯი ევროპაში ტრანსპორტირებისას შესაძლოა მერყეობდეს 4,000-დან 5,000 ევრომდე (12,440 ლარიდან – 15,550 ლარამდე)³⁶. იქიდან გამომდინარე, რომ დაფნა არ წარმოადგენს მალეფტებად პროდუქტს, მისი ტრანსპორტირება მარტივია, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან შედარებით. შესაბამისად, დანაკარგები და რისკი ტრანსპორტირებისას შედარებით ნაკლებია. დანახარჯი, რასაკვირველია, ცვალებადია ქვეყნების მიხედვით. ასევე ერთეულ პროდუქციაზე ეს დანახარჯი იცვლება. თუ მაღალი ხარისხის დაფნის ექსპორტირება ხდება, მაშინ კონტეინერში თავსდება დაახლოებით 12 ტონა დაფნის ფოთოლი, რაც ტრანსპორტირების ხარჯს ერთეულზე ზრდის.

ქვემოთ ცხრილში დაანგარიშებულია ეკონომიკური ინდიკატორები იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის გატანა მოხდება ევროკავშირის ბაზარზე. ვგულისხმებთ, რომ მაღალი ხარისხის ფოთოლი გადის საექსპორტოდ.

ცხრილი 6.7: დანახარჯები ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში

ინდიკატორები	შედეგები
წარმოების ხარჯი (ლარი)	1,860 ³⁷
ტრანსპორტირება (ლარი)	13,995
სერტიფიცირება (ლარი)	185
დაზღვევა (ლარი)	251
ISO-ის სერტიფიკატი	13,750 ³⁸
გადამუშავების ხარჯი	52,500
სულ ხარჯი (ლარი)	82,678

შენიშვნა: საშუალო მოსავალი არის 15 ტონა/ჰა, დანაკარგი არის 2%

თუ ავიღებთ 2017 წელს ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის ყველაზე დაბალ ღირებულებას (ბულგარეთში 3.2³⁹ აშშ დოლარი 1 კილოგრამ დაფნაზე), გამოვა, რომ შემოსავლები ბულგარეთში ექსპორტიდან შეადგენს 129,360 ლარს ჰექტარზე, ხოლო მოგება 46,681 ლარს ჰექტარზე.

³⁶ 4,000 და 5,000 ევროს ეკვივალენტი ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 4 ნოემბრის გაცვლითი კურსით (3.11 ლარი/ევრო).

³⁷ სასუქი – 400 ლარი, სარეველების მოშორება – 400 ლარი, რიგებს შორის კულტივაცია – 260 ლარი, აზოტი – 200 ლარი, მუშახელი – 500 ლარი.

³⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 4 ნოემბრის გაცვლითი კურსით (2.7251 ლარი/აშშ დოლარი)

³⁹ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 6 ნოემბრის გაცვლითი კურსით (2.75 ლარი/ევრო)

7. SWOT ანალიზი და დისკუსია

7.1 კლიური მხარეები და გენერირების პოტენციალი



7.2. ძირითადი გამოწვევები

გადამამუშავებლებისათვის რთულია ხარისხიანი და ერთგვაროვანი ფოთლის მიღება, რადგან ისინი დაფნას აგროვებენ პატარა ფერმერებისგან, რომლებიც, ძირითადად, არ უვლიან დაფნას. დაფნა, უმეტესად, გაშენებულია საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომლებიც შემორჩენილია საბჭოთა კავშირის პერიოდიდან. ხშირად, იმის გამო, რომ ფერმერები არ უვლიან დაფნას, ფოთლის ხარისხი მცირდება (ფოთოლს უჩნდება წერტილები და სხვს დაავადებები), რაც საბოლოოდ დაფნის ფოთლის საექსპორტო ფასს ამცირებს. ერთგვაროვანი ხარისხის მისაღებად საჭიროა დაფნის ფოთლის ავტომატურ რეჟიმში დახარისხება, სპეციალური დანადგარების მეშვეობით „ლაზერული დამხარისხებელი დანადგარი“, ისე, როგორც ეს თურქეთში ხდება. თურქებს საქართველოდან დიდი ოდენობით გააქვთ, განურჩევლად ხარისხისა, იქ ახარისხებენ, კარგ ხარისხს ყიდნიან ევროპის ქვეყნებში.

თურქეთის დაფნისგან განსხვავებით, ქართულ დაფნას ნაკლებად იცნობენ ევროპაში, შესაბამისად ქართულმა დაფნამ უნდა მოახერხოს ადგილის დამკვიდრება ევროპულ ბაზარზე. ბევრი ქართული კომპანია უფრო ხის ევროპის ბაზარს, დამყარებული სტერეოტიპის გამო, რომ ევროკავშირში გატანა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და, ამასთან, უკვე აქვთ შესაბამისი კავშირები და ჰყავთ გამოცდილი პარტნიორები რუსეთსა თუ უკრაინაში. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ცნობიერების გაზრდა და წარმატებული მაგალითების წარმოჩენა.

8. დაფნის გენეტიკური კოტენსიული ეროვნულ ბაზარზე

8.1 დასაქმების შესაძლებლობები

დაფნის სექტორში არის დასაქმების შესაძლებლობები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ სოფელში (მაგალითად, ხობის სოფლებში) დაფნის გადამამუშავებლები ადგილობრივებისთვის ყველაზე დიდი დამსაქმებლები არიან. დაფნის ფოთლის გადამამუშავებელი საწარმო მოითხოვს ბევრ მუშახელს, რადგან ფოთლის გადარჩევა და დახარისხება ხელით ხდება.

წარმოების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია და არსებულების განვითარება, რომელიც ასევე შექმნის მდგრად სამუშაო ადგილებს ადგილობრივებისთვის. მსგავსი საწარმოების განვითარებისთვის, სახელმწიფო პროგრამები უკვე არსებობს, თუმცა ფერმერები აღნიშნავენ, რომ მათ სექტორს მეტი ხელშეწყობა სჭირდება. დღესდღეობით, დაფნის დახარისხება ხდება ხელით, დაქირავებული მუშახელის მეშვეობით. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ეს პროცესში თურქეთში ავტომატიზებულია და ლაზერული აპარატის მეშვეობით ხდება დაფნის დახარისხება.

8.2 შემოსავლების გენერირება

ფაროსანამ დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის პროდუქციას და, რასაკვირველია, მოსახლეობის შემოსავლები მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში. ერთ-ერთი კულტურაა დაფნა იმ მცირეთაგან, რომელსაც ფაროსანასგან შედარებით მცირე ზიანი მიაღდა.

სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებში არც თუ ისე მცირე წილი უჭირავს დაფნიდან მიღებულ შემოსავალს. უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდა დაფნის წარმოებით, რადგან დაფნიდან მიღებული შემოსავლები შედარებით სტაბილურია და არ ექვემდებარება სეზონურობას. მოსალოდნელია, რომ მოსავლიანობის ზრდისა და შესაბამისი მოვლის პირობებში დაფნიდან მიღებული შემოსავლები კიდევ უფრო გაიზრდება.

8.3 პერაპოუი გეგმვა

იქიდან გამომდინარე, რომ ფერმერები არ იყენებენ არანაირ შესაწამლ საშუალებებს და შხამქიმიკატებს, დაფნიდან მიყენებული ზიანი გარემოზე შედარებით მცირეა. ინტერვიუებში აღინიშნა, რომ ფერმერები გეგმავენ ბიონარმოებას, რადგან დაფნა არ საჭიროებს სხვა კულტურებთან შედარებით დიდი რაოდენობით შესაწამლ საშუალებებს და შედარებით ნაკლები დაავადება უჩნდება.

9. რეკომენდაციები

9.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს

- დაფნის კულტურის მაღალმოსავლიანი, ჯიშების წარმოებაში დანერგვა;
- არსებული პლანტაციების რეაბილიტაცია და აღდგენა;
- დაფნის მოვლის კულტურის ჩამოყალიბება.

9.2 რეკომენდაციები შუალედური რგოლის წარმომადგენლებს

- დაფნის ძირითადი პროდუქციის — მშრალი ფოთლის წარმოების რაციონალური ენერგორესურს დამზოგი ტექნოლოგიის შემუშავება და წარმოებაში დანერგვა;
- წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- გაერთიანება სხვა გადამამუშავებლებთან, დაფნის რაოდენობის გაზრდის კუთხით;
- ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ფერმერებთან თანამშრომლობა (კონტრაქტი);
- დარგის ასოციაციის ჩამოყალიბება;
- ევროკავშირის ბაზარებზე ორიენტირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსური გადაწყვეტა და მათი პრაქტიკულად განხორციელება საშუალებას მისცემს მწარმოებლებს, მნიშვნელოვნად შეამცირონ დაფნის პროდუქციის თვითღირებულება და დაფნის წარმოება კვლავ გახდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაღალრენტაბელური დარგი.

9.3 რეკომენდაციები სახელმწიფოს

- სახელმწიფო პროგრამებში (მაგ., „დანერგე მომავალი“) დაფნის გათვალისწინება;
- მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს სანიაღვრე არხებისა და საირიგაციო სისტემების მოწყობა;
- სახელმწიფოს მონაწილეობა სელექციის გზით დაფნის მაღალპროდუქტიული ფორმის შერჩევაში (უკეთეს შემთხვევაში, ჯიშის გამოყვანა);
- სასწავლო ტურების დაგეგმვა და მოწყობა ფერმერებისათვის;

- სექტორული ასოციაციის ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა;
- საჩვენებელი/სადემონსტრაციო ნაკვეთების მონაცემების რეგისტრაცია;
- საინფორმაციო-საკონსულტაციო კამპანიების ჩატარება, ევროკავშირის ბაზრების ათვისების შესახებ;

10. ბიბლიოგრაფია

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021.
2. ქართული დაფნა და მისი საექსპორტო პოტენციალი, USAID/REAP, 2017.
3. აგროკავკასია, „დაფნის კულტურა, თესვა, გამრავლება, ბალის გაშენება და აგროტექნიკა“, 2018. <http://agrokavkaz.ge/dargebi/memcenareoba/daphnis-kultura-thesva-gamravleba-baghis-ga-sheneba-da-agroteqnika.html>
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები, 2017.
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო, 2018. http://apma.ge/projects/read/plant_future/20:child .
6. Bay leaf in Germany, EU, May 2018.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.Geostat.ge
8. სასოფლო-სამეურნეო აღწერა – Census 2014.
9. www.comtrade.un.org
10. www.Trademap.org
11. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა, FAOSTAT, 2018 www.faostat.org

